ხელშეკრულება №52

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „23“ მარტი, 2015 წ.

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება” (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის - ნატალია ზაქარეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ევროდიზაინი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის - მაყვალა კუდბას სახით (შემდგომში„ მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N-9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარულიდღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიცახორციელებსშესყიდვას.

1.5.„მიმწოდებელი“ პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება,“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია წყლის ავზებისა და წყალსაქაჩი სისტემის მიწოდება- მონტაჟის სამუშაოების (კლასიფიკატორის კატეგორიის კოდი: 45300000) შესყიდვა (შემდგომში – მომსახურება).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 15340 (თხუთმეტიათასსამასორმოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა და ტექნიკური პარამეტრები განსაზღვრულია დანართით (დანართი №1), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი მოცულობის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/ზედნადების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

4.3. თუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ (სხვადასხვა მიზეზის გამო) არ შეადგინა მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალიწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ღირებულების ანაზღაურებაზე.

4,4 ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობას და ღირებულებას განსაზღვრავს შემსყიდველის მიერ დანიშნული ტექნიკური ზედამხედველი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება მოხდება შემსყიდველის დაქვემდებარებაში არსებულ გონიოს დასახლებაში მდებარე №29 საბავშვო ბაღში.

6.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება გონივრულ ვადაში.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1-6.2. პუნქტებში.

8. გარანტია

8.1. მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების ფარგლებში უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს, მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი.

8.2. შესრულებული სამუშაოების დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი - 12 თვე.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი მისი წარმომადგენლის(ტექნიკური ზედამხედველი) მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას;

9.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

9.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებით;

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრა;

10. თანმდევი მომსახურება

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისა და სხვადასხვა ნარჩენებისაგან;

11. სტანდარტები

11.1. ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პარამეტრებში მითითებულ სტანდარტებს.

12. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

12.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

445393510

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში ადგილი აქვს რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს, თავისი გადაწყვეტილება არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით;

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შედეგების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

14.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 14.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

14.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. დაუძლეველი ძალა

15.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

15.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 25 მაისამდე.

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება"

ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25

საიდენტიფიკაციო კოდი: 445393510

დირექტორი:

ნატალია ზაქარეიშვილი

445393510

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

შპს „ევროდიზაინი"

ქ. ბათუმი, მელიქშვილის ქ. N-4/6; ბ. N-34
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 525 187
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბ/კ: TBCBGE22
ა/ნ: GE47TB1077636080100003
ტელ.: (+995) 551 11 65 50
დირექტორი:
მაყვალა კუდბა

(ხელმოწერა)

ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება
საობიექტო-სახარჯთაღრიცხვო ანგარიში №1

გონიოს დასახლებაში №29 საბავშვო ბაღისათვის წყლის ავზის და წყალსაქაჩის მოწყობა

ღირებულება 15340.0 ლარი

№	სახარჯთალ რიცხვო ნომერი	სამუშაოს და ხარჯების დასახელება	განზომილების ერთეული ათ ლარი		
			საშშ. სამუშ.	სამონტ. სამუშაოები	სულ
1	ხარჯ.№1	სამშენებლო სამუშაოები რემონტი	3758.64		3758.64
2	ხარჯ.№2	წყალგაყვანილობა		10437.09	10437.09
3	ხარჯ.№3	ელექტრო სამუშაოები რემონტი		697.47	697.47
		ჯამი	3758.64	11134.56	14893.21
		რეზერვი გაუთვალისწინებელ ხარჯებზე 3%	112.76	334.04	446.80
		ჯამი	3871.40	11468.60	15340.00

ხ.ს. .....

ხ.ს. .....

ხარჯთაღრიცხვა №1

გონიოს დასახლებაში №29 საბავშვო ბაღისათვის წყლის ავზის და წყალსაქაჩის მოწყობა

სამშენებლო სამუშაოები

ღირებულება **3758.64** ლარი

№	საფუძველი	სამუშაოთა დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
1	2	3	4	6	7	8
1	სნდაწIV-2-82 ტ1 ცხ.1-79-4	მიწის მოჭრა ხელით რკბ ფილის საძირკვლისა და ზეძირკვლის მოსაწყობად 4.2*3*0.3*1.25=4.75 მ^3	100 მ^3	0.0472	2573.00	121.45
2	სნ დაწIV-2-84 6-1-2	რკბ საძირკვლის ქვეშ ბეტონის მოსამზადებელი ფენის მოწყობა ბეტონი მ100 4.2*3*0.1=1.26	100მ^3	0.012600	19898.00	250.71
3	სნ დაწIV-2-84 6-3-4	რკბ ფილის მოწყობა ბეტონი მ250	100მ^3	0.0525	26831.00	1408.63
4.0	საბაზრო	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ხელით ავტომანქანაზე და გატანა 2 კმ მანძილზე	მ^3	4.72	24.00	113.28
5	სნ და წ IV-2-84 7-21-4	ლითონის სექციური ღობის მოწყობა ბადით და საკეტით 9.9გ/მ, H=1.2მ	100 გ/მ	0.099	9757.00	965.94
6	სნდაწIV-2-84 ტ-2 15-164-8	ლითონის ღობის და ჭიშკრის შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით ორივე მხრიდან 1.2*10*2=24	100 მ^2.	0.2400	782.00	187.68
7	სნ დაწIV-2-84 ტ-8 46-18-3	საქვაბის შენობის კედელში მილგაყვანილობისათვის ნახვრეტების მოწყობა	ცალი	4.000	6.00	24.00
		ჯამი 1-7		ლარი		3071.69
		ტრანსპორტის ხარჯი 3%	3%	ლარი		92.15
		ჯამი		ლარი		3163.84
		ზედნადები ხარჯები 10%	10%	ლარი		316.38
		ჯამი		ლარი		3480.23
		გეგმიური დაგროვება 8 %	8%	ლარი		278.42
		ჯამი		ლარი		3758.64
		რეზერვი გაუთვალისწინებელ ხარჯებზე 3%	0	ლარი		0.00
		ჯამი		ლარი		3758.64
		დამატებითი ღირებულების გადასახადი 18 %	0	ლარი		0.00
		ჯამი		ლარი		3758.64

ნ. ...

ბ.ა.

ბ.ა.

ხარჯთაღრიცხვა №2

გონიოს დასახლებაში №29 საბავშვო ბაღისათვის წყლის ავზის და წყალსაქაჩის მოწყობა

წყალგაყვანილობა

ღირებულება: **10437.09** ლარი

№	საფუძველი	სამუშაოთა დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
1	2	3	4	6	7	8
		წყალმომარაგება				
1	ს.ნ. და წ. IV-2-82 ტ-3 ცხ. 18.6-9	პლასტმასის წყლის ავზის მოწყობა ტებვადობიოთ v-5000 ლიტ. მონტაჟი	ცალი	2.0	1287.00	2574.00
2	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 18.8-2	ცივი წყლის ტუმბოს jpbasic 5 (წარმადობით 4მ^3 3 ატ. მუშა წერტილით მონტაჟი სამონტაჟო ანკერებით	ცალი	1.0	1303.545	1303.55
3	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 18.8-2	ჰიდროფორი ხუთკაპის 1// RCL მონტაჟი მანომეტრითა და ტუმბოს პრესოსტატით	კომპლ.	1.0	174.00	174.00
4	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 18.6-9	საფართოებელი ავზის 50 ლიტ. 10 ბარ. მონტაჟი	ც	1.0	326.00	326.00
5	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 18.8-2	ცივი წყლის ტუმბოს Fbasic1-30 მონტაჟი სამონტაჟო ანკერებით	კომპლ.	1.0	416.00	416.00
6	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 18.8-2	ტუმბოს მშრალი სვლის დამცავი პრესოსტატის (0.1-0.5 ბარ LP/3 (1/4// შ.ხ მონტაჟი	კომპლ.	1	182.00	182.00
7	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 17.8-1	2ცალი ელექტრომაგნიტური ტივტივას და ერთი მექანიკური ტივტივას მოწყობა 5000 ლ. ავზში	ცალი	3.0	142.00	426.00
8	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 16-12-1	სფერული ვენტილების ც.წ, დ-32 დ-40 და დ=40 მმ უკუსარქველის 40 მმ და დ=32მმ და ბაჩოკის დ=25მმ და დ=32მმ მოწყობა	ცალი	14.0	41.00	574.00
9	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 16-12-1	ამერიკანკების დ=50მმ შ.ხ, დ=40 გ.ხ და დ=32 გ.ხ ქურო შ.ხ დ=40, დ=32, დ=25 და დ=20 , გადამყვანი ხრახნი 1/2-3/8	ცალი	8.0	83.00	664.00
10	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 16-12-1	ფილტრის მონტაჟი სამაგრით 2 დიდი და 2 პატარა	კომპლ.	4.0	65.00	260.00
11	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 22-8-1	პლასმასის ფოლგიანი წყალგაყვანილობის მილების გაყვანა დიამეტრით 40 მმ-მდე სისქით 6.7მმ pn 25 (ქურო, მუხლი, გადამყვანი და სამკაპი)	1000 გრძ/მ	0.024	11598.00	278.35

12	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 22-8-1	პლასამასის ფოლგიანი წყალგაყვანილობის მილების გაყვანა დიამეტრით 32 მმ-მდე სისქით 5.4მმ pn 25 (ქურო, მუხლი, გადამყვანი და სამკაპი)	1000 გრძ/მ	0.024	7016.00	168.38
№	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 22-8-1	პლასამასის ფოლგიანი წყალგაყვანილობის მილების გაყვანა დიამეტრით 25 მმ-მდე სისქით 4.2მმ pn 25 (ქურო, მუხლი,)	1000 გრძ/მ	0.004	4384.00	17.54
№	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 22-8-1	პლასამასის ფოლგიანი წყალგაყვანილობის მილების გაყვანა დიამეტრით 20 მმ-მდე სისქით 3.4მმ pn 25 (ქურო, მუხლი,)	1000 გრძ/მ	0.002	3446.00	6.89
15	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 26-7-2	პლასამასის ფოლგიანი წყალგაყვანილობის მილების თბოიზოლაცია დ=40 და დ=32 პოლიეთილენის გარცმით	გრძ.მ	48.0	6.00	288.00
16	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 26-7-2	წყლის ავზის თბოიზოლაცია	$მ^2$	48.0	11.00	528.00
17	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ. 16-20-1	არსებულ ქსელსი ჩართვა	კომპლ.	2.0	37.00	74.00
18	ს.ნ. და წ. IV-2-82 ტ-8 ცხ. 46-18-3	კედლებში გაყვანილობისათვის ნახვრეტების მოწყობა	ც	2.0	48.00	96.00
19	ს.ნ. და წ. IV-2-82ტ-3 ცხ.16-2-1	ჰიდრავლიკური გამოცდა წყლის სისტემის	100 გრ/მ	0.54	38.00	20.52
		ჯამი:	ლარი			8377.23
		სატრანსპორტო ხარჯი	ლარი	3%		251.32
		ჯამი: პირდაპირ ხარჯებზე	ლარი			8628.55
		ზედნადები ხარჯები	ლარი	12%		1035.43
		ჯამი	ლარი			9663.97
		გეგმიური დაგროვება	ლარი	8%		773.12
		სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი			10437.09
		რეზერვი გაუთვალისწინებელ ხარჯებზე 3%	ლარი	0%		0.00
		ჯამი	ლარი			10437.09
		დამატებითი ღირებულების გადასახადი 18 %	ლარი	0%		0.00
		ჯამი				10437.09

ზ.ა.

ზ.ა.

ხარჯთაღრიცხვა №3

გონიოს დასახლებაში №29 საბავშვო ბაღისათვის წყლის ავზის და წყალსაქაჩის მოწყობა

ელ. გაყვანილობა

ღირებულება 697.47 ლარი

№	საფუძველი	სამუშაოთა დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
1	2	3	4	6	7	8
1	ს.ნ. და წ. IV-2-82 ტ-8 ცხ. 46-18-3	კედლებში ელექტრო სადენებისათვის ნახვრეტების მოწყობა	ც	2.0	3.00	6.00
2	ს.ნ. და წ. IV-2-82 ტ-3 ცხ. 21.16-1	გოფრირებული მილი ელ. გაყვანილობისათვის დიამეტრით 20მმ	გრძ/მ.	60.0	3.00	180.00
3	ს.ნ.დაწ. IV-2-82ტ-3ცხ.2118-1	კაბელი სპილენძის ძარღვით 2X2.5 სამაგრით	გრძ/მ.	60.0	6.00	360.00
4	ს.ნ.დაწ. IV-2-82ტ-3ცხ21-23-1	16 ამპერიანი ავტომატური ჩამრთველის მონტაჟი დამცავი ყუთით	კომპლ	2.0	12.00	24.00
		ჯამი:	ლარი			570.00
		მათ შორის:	ლარი			
		სატრანსპორტო ხარჯი	ლარი	3%		17.10
		ჯამი: პირდაპირ ხარჯებზე	ლარი			587.10
		ზედნადები ხარჯები	ლარი	10%		58.71
		ჯამი	ლარი			645.81
		გეგმიური დაგროვება	ლარი	8%		51.66
		სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი			697.47
		რეზერვი გაუთვალისწინებელ ხარჯებზე 3%	ლარი	0%		0.00
		ჯამი	ლარი			697.47
		დამატებითი ღირებულების გადასახადი 18 %	ლარი	0%		0.00
		ჯამი				697.47

ბ.ს. .....

ბ.ს. .....